



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ლევანი ხიტაშვილი

ნაშრომი: „ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხავი გარემოება“

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო

2019

## რეზიუმე

ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ სწორად შერჩეული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისა და მისი ინტერესების დაცვისაკენ. მეორე მხრივ, იმპერატიული მოთხოვნაა, რომ შერჩეული პოლიტიკა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებდეს ისე, რომ გაუმართლებლად და არაპროპორციულად არ იჭრებოდეს ინდივიდის თავისუფლებაში. ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს სწორედ ისეთ საკითხს, სადაც ერთმანეთს უპირიპირდება ერთი მხრივ, ინდივიდის უფლებები, მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს ვალდებულებები და მოთხოვნები.

ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნება ნაკლებადაა დამუშავებული როგორც თანამედროვე ქართულ სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში, რაც, როგორც წესი, იწვევს მატერიალურ და პროცესუალურ პრობლემებს ქმედების კვალიფიკაციისას.

კვლევის მიზნებისა და აქტუალობისთვის განხილული და გაანალიზებულია ქმედების, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობა (თეორიასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების ჭრილში). განხილულია, ასევე, ქმედების მცირე მნიშვნელობის დეფინიცია, როგორც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობიდან, ისე ცალკე აღებული ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის იმ მოცულობის საფრთხეს, რაც პირის მიმართ აუცილებელს გახდიდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ნაშრომში გადაიხედა და ახლებურად გაანალიზდა ქმედების მცირე მნიშვნელობის სამართლებრივი ბუნება, მისი როლი ლიბერალური სისხლისსამართლებრივი

პოლიტიკისათვის. ნაშრომში დასაბუთებულია ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხის დაზუსტების აუცილებლობის საჭიროება.

ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხის საფუძვლიანად გასაანალიზებლად შესწავლილ იქნა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სისხლის სამართლის მეცნიერთა მოსაზრებები. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის გაცნობას ქმედების მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს დასახელებული მოსაზრებების სუსტ და ძლიერ მხარეებს. ყოველივე აღნიშნული კი უზრუნველყოფს ქმედების მცირე მნიშვნელობის აქტუალობის უკეთ წარმოჩენას.

ნაშრომში განხილულია არა მხოლოდ ქმედების მცირე მნიშვნელობის მატერიალური სამართლის პრობლემატური საკითხები, არამედ, ასევე, წარმოჩენილია პროცესუალურ სამართალში არსებული ხარვეზები. განხილულია პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისას, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, როგორც სისხლის სამართლის მატერიალურ ნაწილში არსებული, ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული პრობლემის, შემავსებელი საპროცესო ინსტიტუტი.

ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი კუთხით გაანალიზებულია ქმედების მცირე მნიშვნელობის ბუნება და მასთან დაკავშირებით არსებული და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომები, რაც უკეთესად წარმოაჩენს ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტის სირთულეს და მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კვლევის ერთ-ერთი მიზანია ქმედების მცირე მნიშვნელობის გამიჯვნა დანაშაულისაგან. დისერტაციაში ცალკე თავი ეთმობა ქმედების მცირე მნიშვნელობის აქტუალურ

საკითხებს განხილულია, როგორც იმ მეცნიერთა მოსაზრებები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხის გადაჭრის გზები მატერიალურ სამართალში უნდა ვეძებოთ, ისე მათი აზრი ვინც თვლის, პრობლემა პროცესუალურ სამართალშია.

კვლევა ემხრობა მოსაზრებას, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობისას ყურადღება უნდა მიექცეს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, თუ რა მოცულობის დანაშაულის ჩადენა სურდა და ამის შემდეგ მოხდეს ობიექტური ნიშნების შეფასება. ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტის რაობა ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული სისხლის სამართალში, რადგან არ გაუფასურდეს მისი არსი და ფუნქცია, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალური ტენდენციების დასუსტება გამოიწვიოს.

ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხის მართებულ გადანყვეტას, აგრეთვე, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოქმედი სხვადასხვა შინაარსის ნორმების ჰარმონიული თანაარსებობის საქმეში.

ნაშრომის ავტორი ქმედების მცირე მნიშვნელობის დასჯადობის საფუძველს უფრო მეტად ობიექტური თეორიით ასაბუთებს და ამ თეორიის საფუძველზე მხარს უჭერს ქმედების მცირე მნიშვნელობის იმგვარ ჩამოყალიბებას, რომ ნორმატიულად მოხდეს ქმედების დეკრიმინალიზაცია.

## სარ ჩევი

რეზიუმე.....	2
შესავალი.....	6
<b>თავი I. საქართველოს სისხლის სამართლის ამოცანა და მიზანი .....</b>	<b>10</b>
1. საქართველოს სისხლის სამართლის ამოცანა.....	10
2. საქართველოს სისხლის სამართლის მიზანი .....	11
<b>თავი II. დანაშაული, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი .....</b>	<b>13</b>
1. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბების მოკლემიმობილვა .....	13
2. დანაშაულის ცნება .....	15
3. ქმედების დანაშაულობრიობა.....	18
<b>თავი III. ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნება და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა.....</b>	<b>21</b>
1. ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნება დამისიმობილვა.....	21
2. ქმედების მცირე მნიშვნელობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით .....	24
3. სუბიექტური კრიტერიუმის აუცილებლობა ქმედების მცირე მნიშვნელობის დასადგენად.....	26
<b>თავი IV. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობასაკვების მოპარვისათვის და დეკრიმინალიზაციის საკითხები .....</b>	<b>30</b>
1. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობასაკვების მოპარვისათვის .....	30
2. ქმედების მცირე მნიშვნელობა და დეკრიმინალიზაციის საკითხები .....	32
<b>თავი V. ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები .....</b>	<b>35</b>
1. პროკურორის დისკრეციული ფუნქციების ამოხსნის სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.....	35
1.1. ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი .....	37
1.2. საჯარო ინტერესის სტანდარტი .....	39

თავი VI. ქმედების მცირე მნიშვნელობის პრობლემატიკა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ...	41
თავი VII. ქმედების მცირე მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა სადასამართლო პრაქტიკაში .....	53
1. უცხოური კანონმდებლობის მიმოხილვა მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით .....	53
2. სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით	55
დასკვნა .....	57
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა .....	61

## De minimis non curat lex (praetor)

*„კანონი (პრეტორი) არ არეგულირებს უმნიშვნელო საკითხებს.*

*ფორმალურად, დანაშაულის ნიშნების შემცველი უმნიშვნელო ქმედებები,*

*არ განიხილება სასამართლოში”<sup>2</sup>*

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** კვლევის აქტუალობა თავად საკვლევი საგანი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას არაერთი დისერტაცია, მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო მიეძღვნა, ის მაინც სადაო საკითხად რჩება, რასაც ნათლად წარმოაჩენს სასამართლოს მიერ მიღებული არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მეცნიერთა ნაწილი

<sup>1</sup> ძველ რომში კონსულის ან დიქტატორის ტიტული, რომელსაც კუთვნოდა უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება.

თანამდებობის პირი,

<sup>2</sup> რომაული დოქტრინა. იხ. Walter Keating Kelly, Wolfgang Mieder, A collection of the proverbs of all nations, Publisher University of Vermont, 2002. გვ. 33

დღემდე ვერ შეთანხმდა საბოლოოდ, პრობლემა მატერიალურ სამართალს მიეკუთვნება თუ პროცესუალურს.

ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ სწორად შერჩეული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისა და დაცვისთვის. მეორე მხრივ, იმპერატიული მოთხოვნაა, რომ შერჩეული პოლიტიკა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებდეს ისე, რომ გაუმართლებლად და არაპროპორციულად არ იჭრებოდეს ინდივიდის თავისუფლებაში. ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს სწორედ ისეთ საკითხს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, ინდივიდის უფლებები, მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს ვალდებულებები და მოთხოვნები.

მცირე მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის კოდექსით დეკრიმინალიზებულია, მაგრამ, ნაკლებადაა დამუშავებული როგორც, ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში ისე მსოფლიო სამართალში, რაც იწვევს მატერიალურ და პროცესუალურ პრობლემებს კვალიფიკაციისას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იდება საპროცესო შეთანხმება მცირე მნიშვნელობის დანაშაულის არსებობისას, ეს არ უნდა იყოს არცერთი მხარისთვის მისაღები. ბრალდებულის პოზიციიდან, რომ შევხედოთ, რამდენიმე ლარის ღირებულების ზიანის გამო ნასამართლობის სტატუსის მიღება არ უნდა წარმოადგენდეს ხელსაყრელ პირობას. რაც შეეხება ბრალდების მხარეს, მას აქვს შესაძლებლობა შეწყვიტოს სისხლისსამართლის დევნა, როდესაც რწმუნდება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა ეს საკითხი დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე სუბიექტურად არის მიჩნეული. თუ ქმედებას მიეცა არასწორი სისხლისსამართლებრივი შეფასება, და სასამართლოს განხილვის საგანი გახდა, საკითხი გადაწყვეტა პროკურორიდან მოსამართლისკენ გადაინაცვლებს,

საქართველოს კანონმდებლობით მოსამართლე არ არის კანონშემოქმედელი და ის ვერ გადაჭრის სისხლის სამართლის მატერიალურ თუ პროცესუალურ დილემას დაბუნებრივია გამოტანილი გადაწყვეტილება სასჯელის სახით, თუნდაც მინიმალურიარარელევანტური და არასამართლიანი იქნება.

ნაშრომში გადმოცემულია ის ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მცირე მნიშვნელობასთან, მისი განმარტების საკანონმდებლო ვაკუუმთან, პროცესუალური სამართლის პრობლემურ საკითხებთან. ასევე მოცემულია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვანი გამოცდილების მიმოხილვა. უცხო ქვეყნების პრაქტიკა, მცირე მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით.

**ნაშრომის მიზანია**, ქმედების მცირე მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნეს, როგორც სისხლისსამართლებრივი (მატერიალური და პროცესუალური), ისე თელოსოფიური თვალსაზრისითაც. კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ქმედების მცირე მნიშვნელობის პრობლემატიკის წარმოჩენა თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით. ნაშრომში წარმოჩენილია მცირე მნიშვნელობის განსაზღვრების მიგნება, მიყენებული ზიანიდან გამომდინარე. ასევე შეფასდეს ქმედების მცირე მნიშვნელობისას სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებებში ჩარევის თანაზომიერება. პროცესუალური პრობლემური საკითხების განხილვა.

ნაშრომის მიზანია, ქმედების მცირე მნიშვნელობასთან და მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა და მათი ანალიზი. პრობლემა განხილულია, როგორც ქართული, ისე სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და შესწავლის, ასევე სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, რაც ეხმარება ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული მთელი რიგი სადაო საკითხების ყოველმხრივ წარმოჩენას, გააზრებასა და მათ მართებულ გადაწყვეტას.



**კვლევის მეთოდი.** ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, დოგმატური, ლოგიკური, შედარებით სამართლებრივი სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და კვლევის სხვა მეთოდები.

**ნაშრომის სტრუქტურა** შედგება შესავლისაგან, 7 თავისაგან - პირველ თავში მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის ამოცანა და მიზანი, მეორე თავში, დანაშაული, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, მესამე თავში, ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნება და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა, მეოთხე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საკვების მოპარვისათვის და დეკრიმინალიზაციის საკითხები, ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები, მეხუთე თავში, ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები, მეექვსე თავში, ქმედების მცირე მნიშვნელობის პრობლემატიკა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში და მეშვიდე თავში, ქმედების მცირე მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში. თხუთმეტი ქვეთავისაგან, დასკვნისაგან და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

## თავი I. საქართველოს სისხლის სამართლის ამოცანა და მიზანი

### 1. საქართველოს სისხლის სამართლის ამოცანა

სისხლის სამართალი მოქმედებას იწყებს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სხვა სახის სამართლებრივი დარგები უშედეგოა. სისხლის სამართლის კანონის, ზღუდავს რა გარკვეულ ქმედებათა თავისუფლებას, არ უნდა გასცდეს იმ აკრძალვებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანთა თავისუფალი და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.<sup>3</sup> სწორედ ეს აუცილებლობა განაპირობებს, სისხლის სამართლის გამოყენებას, როგორც უკიდურეს და უკანასკნელ ( ე.წ. „*ultima ratio*“-ს პრინციპი) საშუალებას სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ამასთან, იგი წარმოადგენს ყველაზე მძაფრ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ისეთ საშიშ ქმედებებთან ბრძოლა, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ღირებულებებსა და დამკვიდრებულ მართლწესრიგს.<sup>4</sup>

---

<sup>3</sup>პარლლუიდემონტესკიე, კანონთა გონი, 1748. გვ.665.

<sup>4</sup>ტურავა, მერაბ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი. 2013. გვ. 17.

პროფესორ გურამ ნაჭყებიას აზრით, სისხლის სამართლის ნორმა ჯერარსრულია, ესე იგი, მოითხოვს მართლზომიერ ქმედებას და მართლწესრიგის შექმნას. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისგან საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულების დაცვისმიზანს ემსახურება. თუ სისხლის სამართლის სუბიექტმა სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ შეასრულა და დანაშაული ჩაიდინა, მაშინ მას სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით აიძულებენ, რომ ამ მოთხოვნას დაემორჩილოს და ნორმის სააღდებულო ძალის ზემოქმედება ამ გზით განიცადოს.<sup>5</sup>

სახელმწიფო უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე, უპირველეს ყოვლისა, როგორც მოქალაქეზე. გარდა ამისა, ადამიანზე სახელმწიფოზე მოქმედებს საზოგადოების, თანამოქალაქეთა საშუალებით. ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა.<sup>6</sup>მეცნიერის აზრით, დანაშაული სამართალდარღვევის უკიდურესი სახეა, ხოლო სასჯელი სახელმწიფო იძულების უკიდურეს ზომას წარმოადგენს.<sup>7</sup>

## 2.საქართველოსსისხლისსამართლისმიზანი

სისხლის სამართლის მიზანი დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და სამართლებრივი სიკეთის დაცვაა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებისა და უფლებების კომპლექსურობას. მათი კონკრეტიზაცია

---

<sup>5</sup>ნაჭყებია გურამ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). „ივერიონი“, თბილისი. 2015. გვ. 10.

<sup>6</sup>ნაჭყებია, გურამ და ტყემელიაძე გიორგი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 2004. გ. 36-37.

<sup>7</sup>ნაჭყებია გურამ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი, 2016. გვ.21.

წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლში, სადაც მოცემულია კონკრეტული სამართლებრივი სიკეთეების სისხლის სამართლებრივი დაცვის საკითხები

თამაზ დონჯაშვილის აზრით, სისხლის სამართალი იცავს დანაშაულისაგან საზოგადოებრივ ურთიერთობებს (უფრო ზუსტად იცავს ამ ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესს), აქედან გამომდინარე, მისი აზრით, სისხლის სამართლის ძირითადი ფუნქცია დაცვითი ხასიათისაა.<sup>8</sup>

სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტს როგორც აღვნიშნეთ, სამართლებრივი სიკეთე წარმოადგენს. სამართლებრივი სიკეთე ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ინდივიდუალური და საყოველთაო ანუ უნივერსალური. ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეს მიეკუთვნება სიცოცხლე, საკუთრება, თავისუფლება და ყველა ის სიკეთე და ინტერესი, რომელიც ინდივიდიდან მომდინარეობს. საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის მაგალითად კი შეიძლება დავასახელოთ საყოველთაო მშვიდობა, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, გარემო და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ კოდექსი ადგენს დანაშაულის ცნებას, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და სასჯელის ან სხვა სისხლის სამართლებრივი ღონისძიების რა ზომა შეეთარდება დამნაშავეს. ასევე ადგენს სასჯელის დანიშვნის წესსა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებს.

როგორც აღვნიშნა, სისხლის სამართალი არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უკანასკნელი საშუალება და მისი მიზანია ებრძოლოს საშიშ ქმედებებს, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ღირებულებებსა და წესრიგს. თუმცა, ეს არ უნდა გავიგოთ,

---

<sup>8</sup>დონჯაშვილი თამაზ საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). თსუ-ს სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის საბაზო კათედრა. 2007. გვ. 9-10.

როგორც რეპრესიის მექანიზმი, რადგან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აგებულია თანაზომიერების პრინციპზე, შესაბამისად სასჯელის დანიშვნისას, გათვალისწინებულია, როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპზე სწორედ ამ საკითხების განხილვა ხდება რამდენად, გამოიწვია ამა თუ იმ ქმედებამ იმ ოდენობის ზიანი და საფრთხე, რომ მივიჩნიოთ, როგორც დანაშაული.

## **თავი II. დანაშაული, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი**

### **1. დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემის ჩამოყალიბების მოკლემიმოხილვა**

დღეისათვის მოქმედი სისხლი სამართლის კოდექსის საბოლოო ჩამოყალიბებამდე, საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსი და სისხლის სამართლის პოლიტიკა არაერთხელ შეიცვალა. 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აუცილებელი გახდა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემუშავება. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1999 წლის 22 ივლისს და მოქმედებს 2000 წლის 1 ივნისიდან. იგი აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე, რომელიც გერმანული სისხლის სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენს.

დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა სათავეს იღებს მე-19 საუკუნის ბოლოდან, გერმანული სისხლის სამართლის კლასიკური სისტემიდან (ლისტი, ბინდინგი, ბელინგი). კლასიკური სისტემა წარმოადგენს დანაშაულის განსაკუთრებით ნათელ და მარტივ მოძღვრებას.<sup>9</sup> იგი ეფუძნება პოზიტივიზმს. კლასიკური სისტემის ატრიბუტებია: დანაშაულის კაუზალური და ბრალის ფსიქოლოგიური ცნებები. ამ სისტემის მიხედვით, უმართლობა განიხილება, როგორც დანაშაულის გარეგანი, ხოლო ბრალი - შინაგანი მხარე. ქმედების შემადგენლობა გაგებულია, როგორც ქმედების განხორციელების წმინდა გარეგანი აღწერა, ყოველგვარი შეფასების გარეშე.<sup>10</sup> აქ პრობლემას უმოქმედობის დასჯადობის საკითხი იწვევდა რადგან, უმოქმედობა არ არის სხეულის მოძრაობა, არამედ მისი საწინააღმდეგო მოვლენაა. კლასიკურმა სისტემამ სათავე დაუდო ყველა სხვა დანარჩენი სისტემის განვითარებას.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან კლასიკური სისტემა ჩაანაცვლა უფრო პროგრესულმა ნეოკლასიკურმა სისტემამ, ცნობილი წარმომადგენლები არიან მეცგერი, ბაუმანი, ვებერი. ნეოკლასიკური სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა აღარ წარმოადგენს წმინდა ობიექტურ-ფორმალური კრიტერიუმებით განსაზღვრულ კატეგორიებს. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია კი შეიცვალა ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიით. ნეოკლასიკურ სისტემაში პირველად განხორციელდა ქმედების შემადგენლობის კლასიფიკაცია და მოხდა დაყოფა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად.<sup>11</sup>

50-იანი წლებიდან ვითარდება სისხლის სამართლის ფინალური სკოლა, რომლის ფუძემდებელია *ჰანს ველცელი*. ფინალური სისტემის დამსახურებაა ბრალის ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიის განვითარება. კლასიკური სისტემის ბრალის

<sup>9</sup>Naucke, Wolfgang. Strafrecht, მე-10 გამოცემა, 2002. გვ.231-326.

<sup>10</sup>ტურავა მერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი, „მერიდიანი“, 2013. გვ. 60.

<sup>11</sup>ტურავა მერაბ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება. თბილისი. „მერიდიანი“2011. გვ. 76.

წმინდა ფსიქოლოგიური თეორია, რაინჰარდ ფრანკმა ბრალის კომპლექსურ-ფსიქოლოგიური თეორიით შეცვალა, რომელსაც მოგვიანებით ფინალისტების მიერ ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიის განვითარება მოჰყვა.<sup>12</sup> კლაუს როქსინი, აღნიშნავს, რომ ფინალური სკოლის მიერ განვითარებული ბრალის ცნებას, არ არის წმინდა ნორმატიული იმ გაგებით, რომ მისი შინაარსი შეფასებით არ ამოიწურება, არამედ „გაკიცხვასთან“ ერთად თავის თავში შეიცავს სხვა საგნობრივ კომპონენტებსაც.<sup>13</sup>

ფინალური სკოლის მიხედვით, ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს ე.წ. უმართლობის პერსონალურ ცნებას, ხოლო ბრალი წარმოადგენს წმინდა ნორმატიულ კატეგორიას გასაკიცხაობის სახით. სწორედ, გერმანული სისხლის სამართლის იდეების გაზიარება მოხდა ახალ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში და ასევე სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველია.

## 2. დანაშაულისცნება

სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის ჩამოყალიბების პროცესი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ დროს საჭიროებს, გულისხმობს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირებას, დროის მოთხოვნათა გამომხატველი ნორმების, სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად და პიროვნების უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მთავარ, ამოცანად იქცევა

---

<sup>12</sup>ტურავა მერაბ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება. თბილისი. „მერიდიანი“ 2011. გვ. 1-3.

<sup>13</sup>Roxin Claus. „Schuld“ und „Verantwortlichkeit“ als strafrechtliche Systemkategorien, FS für Heinrich Henkel zum 70.Geburtstag, 1974. გვ. 171-172.

სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და ასეთი დარღვევებისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დადგენა.<sup>14</sup>

სისხლის სამართალი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგია. იგი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, აგებულია ისეთ ორ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე როგორცაა - დანაშაული და სასჯელი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. დანაშაულის არარსებობა გამორიცხავს სასჯელს და პირიქით, სასჯელისაგან განთავისუფლება ადასტურებს დანაშაულის არარსებობას.

საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, ესე იგი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.თუმცა, დანაშაულის ჩადენა არ წარმოადგენს უპირობო საფუძველს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, რადგანაც შესაძლოა არსებობდეს ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, ზოგადი წესის მიხედვით,სისხლის სამართლის სუბიექტი უნდა იყოს შერაცხადი, კერძოდ, 14 წელს მიღწეული პირი და ფსიქიკურად ჯანმრთელი, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ ასაკს მიუღწეველი პირი ან ფსიქიკურად დაავადებული, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის სუბიექტს და შესაბამისად მისი დასჯადობაც გამორიცხულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ეფუძნება გერმნულ სისხლის სამართლის დოგმატიკას და აღიარებს დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემას, რომელიც შედგება სამი ელემენტისაგან: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

---

<sup>14</sup>ინწკირველი, გივი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი. „მერიდიანი“2011..გვ. 60



ქმედების შემადგენლობა გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობის დადგენას სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულ მუხლში აღწერილ ქმედებასთან. რაც შეეხება მართლწინააღმდეგობას, იგი წარმოადგენს პირისმიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობას სამართლებრივი, ზნეობრივი და კულტურული ნორმებისადმი. ბრალი კი, დღეისათვის გაბატონებული ბრალის ნორმატიული თეორიის თანახმად, არის მოსამართლისმიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლწინააღმდეგო ქმედებისათვის.

პროფესორ *გურამ ნაჭყებიას* აზრით „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ - ბრალი. ამ მოსაზრებას ავტორი ასაბუთებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველით, კერძოდ საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის მაქსიმალური ზომა არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, ის შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი.<sup>15</sup>

საბჭოთა კავშირში დანაშაული შემდეგნაირად განიმარტებოდა: „დანაშაულებრივად ითვლება მხოლოდ ისეთი ქმედობა, რომელიც საშიშია სოციალისტური საზოგადოების, სოციალური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მართლწესრიგისათვის. დანაშაული არა მარტო საზიანოა, არამედ იგი საზოგადოებრივად საშიშია.“<sup>16</sup>

---

<sup>15</sup>ნაჭყებია, გურამ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ( სახელმძღვანელო). თბილისი. „ივერიონი“, 2015. გვ. 63.

<sup>16</sup>გურიევი პ.პ., დავიდოვი გ.პ., მელნიკოვა ე.ბ., ფეოფანოვი ი.ვ საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, მე-4 გამოცემა. თბილისი „განათლება“ 1978. გვ. 191.

რაც შეეხება სასჯელის განმარტებას, ის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მოცემული და შეაბამისად იურიდიული მეცნიერების განხილვის საგანია. სასჯელის განმარტებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებაა, იგი იურიდიული ფილოსოფიის განხილვის საგანია. მეცნიერთა ნაწილი სასჯელის დეფინიციების მცდელობისას იშველიებს პოზიტიურ კანონმდებლობას, სისხლის სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს და სასჯელს სახელმწიფო იძულებით ღონისძიებად მიიჩნევს, რომელიც ინიშნება საქართველოს სახელით, სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის სახით და იგი ყოველთვის უკავშირდება ადამიანის უფლებების შეზღუდვას და იწვევს ნასამართლობას.<sup>17</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის დანიშვნისას პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო ინტერესი, რამდენად საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის პიროვნება ზიანის ოდენობა რამდენად დიდია, რამდენად უქმნის საფრთხეს საზოგადოებას ამ პირის დაუსჯელობა, დამნაშავის ინდივიდუალური მახასიათებლები და მისი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ. მთელი ამ რიგი კომპლექსური საკითხების განხილვისას წყდება დაიწყოს თუ, არა სისხლის სამართლებრივი დევნა.

### 3. ქმედების დანაშაულობრიობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში ასახვა ჰპოვა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის *ანსელმ ფოიერბახის* მიერ ჩამოყალიბებულმა

<sup>17</sup> დვალიძე, ირაკლი.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები. თბილისი, „მერიდიანი“ 2013. გვ. 14.

კანონიერების პრინციპმა, რომელიც რომანულ-გერმანული სისხლის სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს: „*nulla poena, nullum crimen sine lege*” („არ არსებობს სასჯელი, არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“).<sup>18</sup> ქმედების დანაშაულობრიობა და შემდეგში დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს, ეს მოთხოვნა მჭიდროდაა დაკავშირებული პრინციპთან, რადგანაც დასჯადობის საკითხი დანაშაულის ჩადენის დროს არსებული კანონით უნდა გადაწყდეს.

აღნიშნული პრინციპის ხვადასხვა ქვეყნების მიერ აღიარებულია კონსტიტუციურ პრინციპად, ასევე გვხვდება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველ აბზაცსა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის პირველ აბზაცში. დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია მართლწინააღმდეგობა. მიუხედავად იმისა, დანაშაულის ერთ-ერთ ნიშნად მართლწინააღმდეგობის და არა საზოგადოებრივი საშიშროების აღიარებამ დიდი დავა გამოიწვია საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენისას, პროექტის შემუშავებელმა კომისიამ მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა მართლწინააღმდეგობაზე მითითება.<sup>19</sup>

სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მართლწინააღმდეგოა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება, ზოგადად, საზოგადოებაში არსებულ კულტურულ ნორმებს. მართლწინააღმდეგო შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის ქცევა. ცხოველებისა და ბუნების მოვლენებისაგან მომდინარე საფრთხე, რომელმაც ადამიანის ნების ან წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოწვეული დაუდევრობის

---

<sup>18</sup> ტურავა, მერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი. „მერიდიანი“ 2013. გვ. 23.

<sup>19</sup> გამყრელიძე, ოთარ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების. თბილისი: აურ. აღმანახი, N 13, „სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები“, 2000. გვ. 22-24.

გარეშე გამოიწვია სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი ხელყოფა, არ შეიძლება წარმოადგენდეს მართლსაწინააღმდეგოს.<sup>20</sup>

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემა ერთ-ერთი რთული საკითხია სისხლის სამართალში. ტერმინი „კვალიფიკაცია“ წარმოდგენა ლათინური სიტყვებისაგან „quails“ - ხარისხი და „facio“ - კეთება.<sup>21</sup> განსახილველ საკითხში, ეს ნიშნავს რაიმე მოვლენის, პროცესის ხარისხობრივ შეფასებას მისი არსებითი ნიშნების გარკვევას. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა, თუ რომელი ტერმინია სწორი და მართებული, ხშირად ვხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორიცაა მაგალითად, „დანაშაულის კვალიფიკაცია“.<sup>22</sup> აღნიშნული ტერმინის ლოგიკურობას აკრიტიკებს ქართველ მეცნიერთა ნაწილი და ამგვარად განმარტავენ: თუ ქმედება უკვე „დანაშაულია,“ მაშინ მისი დანაშაულად კვალიფიკაცია უაზროა, რადგან უკვე დანაშაულად მიჩნეული ქმედება ახალ კვალიფიკაციას არ საჭიროებს.<sup>23</sup>

სწორედ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ეტაპზე ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საჭიროების საკითხი. მიუხედავად დევნის დაწყების საფუძვლისა შესაძლებელია სასამართლო ეტაპზე დადგინდეს პირის უდანაშაულობა, არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებით.

---

<sup>20</sup>ტურავა, მერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი. „მერიდიანი“ 2013. გვ. 164.

<sup>21</sup>ურიდია, სამსონ. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. თბილისი. გაეროს განვითარების პროგრამა, 2004. გვ. 483

<sup>22</sup>Кудрявцев, Владимир Николаевич. общая теория квалификации преступлений. М. 1999. გვ. 5.

<sup>23</sup>ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბილისი. „მერიდიანი“, 2016. გვ. 723.

### თავი III. ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნება და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა

#### 1. ქმედების მცირე მნიშვნელობის ცნებადამისიმიმოხილვა

სამართალში არსებობს პრინციპი „*minima non curat praetor*”<sup>24</sup> რომელიც რომის სამართლიდან მომდინარეობს და ქართულად შემდეგნაირად უღერს: „წვრილმანი

---

<sup>24</sup>კაპანაძე, ნუნუ და მარინა კვაჭაძე. ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. თბილისი „სეზანი“, 2008. გვ. 86.

საქმეები მოსამართლეს არ აწუხებს“.მსგავსი შინაარსის ძველი რომაული ფილოსოფიური აფორიზმი გამოიყენა შვედეთის დედოფალმა კრისტინამ მე-17 საუკუნეში: „*aquila non capit muscās*“;რაც ქართულად შემდეგნაირად ითარგმნება: „არწივმა არ უნდა სდიოს ბუზებს“.<sup>25</sup> აღნიშნული გამონათქვამები გვიჩვენებს, რომ არ ღირს ღროისა და რესურსის ხარჯვა ისეთ საქმეებზე, რომლებიც მცირე მნიშვნელობისაა. სწორედ მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედებები წარმოადგენს ისეთ გარემოებებს, რომელზეც რესურსი არ უნდა იხარჯებოდეს.

ქმედების მცირე მნიშვნელობა სისხლის სამართალში, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებში გვხვდება როგორებიცაა: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა., სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასჯელის დანიშნისათვის ზიანის ოდენობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. „მცირე მნიშვნელობის პრინციპზე“, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებაზე, ჯერ კიდევ 1964 წელს გერმანელი იურისტი *კლაუს როქსინი* წერდა, რომ მცირე მნიშვნელობის ქმედებების ინტერპრეტაცია შესაძლებლობას გვაძლევს გამოვრიცხოთ ქმედების შემადგენლობა.<sup>26</sup>

ქართველი იურისტები *თინათინ წერეთელი* და *ვლადიმერ მაყაშვილი* თვლიდნენ, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის დროს სახეზე გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, რომელიც საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო ფორმალური ხასიათისაა.<sup>27</sup>მათ აზრს იზიარებს *თამაზ შავგულიძე* და დამატებით განმარტავს, რომ ფაქტობრივი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ემთხვევა დანაშაულის შემადგენლობას, გადაიქცევა წმინდა ფორმალობად, რომელიც

---

25Walter Keating Kelly, Wolfgang Mieder, A collection of the proverbs of all nations, Publisher University of Vermont, 2002. გვ. 33

26Roxin, Claus. Strafrecht. Allgemeiner Teil. I, 2006. გვ. 181.

27Церетели Т. В., и Макашвили В. Г. Состав преступления как основание уголовной ответственности . Советское государство и право. № 5. 1954. გვ. 73

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ვერ გამოდგება.<sup>28</sup> აღნიშნული შეხედულების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა რუსმა მეცნიერმა ანდრეი პიონტკოვსკიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ „საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობა თავისთავად გამორიცხავს დანაშაულის ფორმალური შემადგენლობის არსებობასაც კი“.<sup>29</sup> საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენდა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებას<sup>30</sup>.

პროფესორი მერაბ ტურავა მიიჩნევს, რომ ღღეს მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შინაარსიდან გამომდინარე, ქმედების მცირე მნიშვნელობა გამორიცხავს ქმედების შემადგენლობას, მაგრამ იგი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ნიშანს, რომლის არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა არ არსებობს, არამედ ინტერპრეტაციის საკითხია, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, სოციალურად საყოველთაოდ ტოლერირებული (შემწყნარებლური) მცირე მნიშვნელობის ქმედებები შეფასდეს, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი.<sup>31</sup> ასევე ქმედების მცირე მნიშვნელობის სამგვარ გაგებას გვთავაზობს: 1. იგი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებას; 2. მიუხედავად დანაშაულის ჩადენისა, იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ მატერიალურ-

---

28 შავგულიძე, თამაზი და ლამარა სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბილისი, „მეცნიერება“, 1988. გვ. 19.

29 Пионтковский, Андрей Андреевич. Укрепление социалистической законности. Советское государство и право. № 5. 1954. გვ. 74.

30 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან. საზოგადოებრივი საშიშროების პრობლემისათვის, თბილისი, ურნალი „სამართალი“, 1996. გვ. 3-4.

31 ტურავამერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადინაწილიდანაშაულის მოძღვრება. თბილისი, „მერიდიანი“, 2011. გვ. 60.

სამართლებრივ გარემოებას; 3. იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელ პროცესუალურ-სამართლებრივგარემოებას.<sup>32</sup>

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქმედების მცირემნიშვნელობის საკითხი ზოგჯერ კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობაში არის მოცემული, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოება. მაგალითად, სსკ-ის 187-ე მუხლის თანახმად, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს დანაშაულს, თუ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მცირე მნიშვნელობის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ქმედების შინაარსს, ასევე მიყენებული ზიანის ოდენობას. ამ გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება შეფასდეს, წარმოადგენს თუ არა ქმედება იმ მნიშვნელობის მქონეს საზოგადოებისთვის, რომ იგი მივიჩნიოთ, როგორც სოციალურად საშიში მოვლენა - დანაშაული.

## 2. ქმედების მცირემნიშვნელობასაქართველოს სისხლისსამართლის კოდექსის მიხედვით

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებას.

---

<sup>32</sup>ტურავამერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადინაწილიდანაშაულის მოძღვრება. თბილისი. „მერიდიანი“2011. გვ. 71.



ზიანის ოდენობამ და ქმედების შემადგენლობამ უნდა განსაზღვროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჭიროება, როგორც უკიდურესი ღონისძიება პირის დასჯისათვის. კანონმდებელი არც საპროცესო კოდექსით და არც მატერიალური კოდექსით, არ განმარტავს უპირობოდ რა ჩაითვლება მცირე მნიშვნელობად, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა განსაზღვრულია „მნიშვნელოვანი ზიანი და დიდი ოდენობა“.

სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს ქურდობის განმარტებას, რომლის თანახმად, ქურდობა წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ქურდობის შედეგად მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას. მუხლის შენიშვნაში განმარტებულია, რომ „მნიშვნელოვნად“ ითვლება ზიანი, როდესაც ნივთის ან ნივთების ღირებულება 150 ლარს აღემატება. შენიშვნაში ასევე მოცემულია „დიდი ოდენობის“ განმარტება, რომლის თანახმად, 10 000 ლარს ზევით მიყენებული ზიანი ჩაითვლება დიდ ოდენობად. აღნიშნული განმარტებები ეხება არა მხოლოდ ქურდობას, არამედ სსკ-ის XXV თავში (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ) მოცემულ ყველა დანაშაულს.

ლოგიკურად, მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს 150 ლარამდე არსებულ ზიანს, თუმცა ეს არ ნიშნავს უპირობოდ პირის განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რადგან მცირე მნიშვნელობა მოსამართლემ შესაძლოა არ მიიჩნიოს საკმარის გარემოებად.

### 3. სუბიექტური კრიტერიუმის აუცილებლობა ქმედების მცირე მნიშვნელობის დასადგენად

დანაშაულებრივი ქმედება განიხილება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნების შეფასებით. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით. საუკუნეების განმავლობაში „თავისუფალი ნების“ საპირისპიროდ არსებობდა „დეტერმინისტული“ არგუმენტი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანის ქცევა განსაზღვრულია მიზეზებით, რომლის გაკონტროლება ყველას არ შეუძლია.<sup>33</sup> პროფესორ ბეჟან ხარაბიშვილის (ხორნაბუჯელის) აზრით კი, დანაშაული არის არა ქცევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ქცევის ანუ მოტივისა და მიზნის განხორციელების წესი.<sup>34</sup>

განზრახვის დადგენა მნიშვნელოვანია ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის, რადგან დანაშაული ნებელობითი ქცევაა და მისი გაგებით ვადგენთ დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას საბოლოო შედეგის დადგომისადმი.

სსკ-ის მე-9 მუხლი განასხვავებს ორი სახის განზრახვას: პირდაპირსა და არაპირდაპირს. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. რაც შეეხება არაპირდაპირ განზრახვას, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა,

<sup>33</sup>Kenny, Anthony., *Freewill and Responsibility*, London, Routlege and Kegan Paul, 1978. გვ. 72.

<sup>34</sup>Хорнабужели, бежан. Психологическая сторона вины, (თბილისი. „განათლება“, 1981. გვ. 6.

ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

ზემოხსენებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პროფ. *მერაბ ტურავა* განმარტავს, რომ განზრახვა სამი კომპონენტისგან შედგება, რომელიც ზოგადად შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოიხატოს: პირის მიერ ცოდნა იმისა, რასაც აკეთებს, ნებელობა იმისა, რასაც აკეთებ და მართლწინააღმდეგობის შეგნება<sup>35</sup>. ჰანს *ველცელის* მიხედვით კი განზრახვა არის მოქმედების განხორციელების ისეთი ნება, რომელიც უმართლობის ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების განხორციელებისკენ არის მიმართული.<sup>36</sup>

მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ერთ-ერთი განჩინების მიხედვით: „პირველი ინტანციის სასამართლოს განაჩენში მსჯელობა: ზ. მ.-ს მიერ ჩადენილი ქმედების სუბიექტური მხარის თაობაზე ბუნდოვანი და გაურკვეველია, საიდანაც ძნელია გამოიტანო დასკვნა: მსჯავრდებულმა ქმედება ჩაიდინა პირდაპირი თუ ევენტუალური განზრახვით“.<sup>37</sup>

ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, არსებობს თუ არა განზრახვა და რა შედეგისკენ იყო მიმართული. მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების არსებობისას, ქმედება ვერ ჩაითვლება ქურდობად, ძარცვად ან ყაჩაღობად თუ დგინდება, რომ დამნაშავეს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი არ ჰქონდა.

<sup>35</sup> ტურავამერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადინაწილი დანაშაულის მოძღვრება. თბილისი. „მერიდიანი“ 2011. გვ. 265.

<sup>36</sup> Welzel, Hans, Das neue Bild Des Strfrechtssystems, მე-2 გამოცემა, 1952. გვ. 11.

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2009. გვ. 57.

განზრახვის დადგენა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას დანაშაულის მცდელობისას, რადგან სწორედ ამ დროს დაუმთავრებელი დანაშაულის ჩადენისას, აუცილებელია დავადგინოთ რეალურად რა შედეგის მიღწევას ცდილობდა დამნაშავე. დანაშაულის მცდელობის სტადიაზე უკვე ხდება დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ობიექტური გარემოებების განხორციელება. სწორედ ამიტომ, დანაშაულის მცდელობად მიიჩნევა უშუალო მოქმედებები მიმართული დანაშაულის ჩასადენად.<sup>38</sup>

დანაშაულის მცდელობა სსკ-ის მე-19 მუხლით განზრახ ქმედებას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენათ, ასეთ დროს დანაშაული ბოლომდე არ არის მიყვანილი. მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციის, უნდა დადგინდეს რა მიზანი ამოძრავებდა დამნაშავეს, რა მოცულობით აპირებდა სხვისი ნივთის მისაკუთრებას.

*თინათინ წერეთელი* თანხმება იმ პოზიციას, რომ „თუ მოქმედება მიმართული იყო მნიშვნელოვანი ზიანის ან განუსაზღვრელი სიდიდის ზიანის მისაყენებლად, ხოლო სინამდვილეში მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მცირემნიშვნელოვან ქმედებაზე“.<sup>39</sup>

პირის სუბიექტური დამოკიდებულების დადგენის მნიშვნელობას წარმოაჩენს შემდეგი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ვ.-ს ბრალად ედება, რომ კ.-სთან ერთად მოგლიჯა ლუქი და გააღო გააღო ვაგონის კარი. ამის შემდეგ ვ. ვაგონთან დარაჯად დადგა, ხოლო კ. შევიდა ვაგონში ქონების გატაცების მიზნით. კ-მ მოახერხა მხოლოდ 5 კოლოფი სიგარეტის მოპარვა, რადგანაც ვ.-მ გააფრთხილა, რომ მატარებელს უახლოვდებოდა თანამშრომელი. ვ. დააკავეს, ხოლო კ.-მ გაქცევა მოასწრო. ვ. პასუხისგებაში იქნა მიცემული სხვისი ქონების გატაცებისათვის, მაგრამ რკინიგზის სახალხო სასამართლომ მის მიმართ შეწყვიტა საქმის წარმოება, რაც დაასაბუთა

<sup>38</sup>გაბიანი, ანზორ, გვენეტაძე ნ. დვალაძე ი. და სხვები. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი „მერიდიანი“, 2007. გვ. 159.

<sup>39</sup>წერეთელ, თინათინი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში. თბილისი. „კავკასიური სახლი“. 2006. გვ. 70-71.

გატაცებული ქონების უმნიშვნელო რაოდენობით. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ 1949 წლის 12 მაისის განჩინებით გააუქმა რკინიგზის სახალხო სასამართლოს განაჩენი. კოლეგიამ განმარტა, რომ ქონების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით გატაცების მიზეზი იყო ვაგონის თანამშრომლის მოქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა დამნაშავეებს სრული მოცულობით განეხორციელებინათ თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა.<sup>40</sup> ამ კონკრეტული საქმის გაანალიზებისას ვხედავთ, რომარსებობს შემთხვევები, როდესაც სწორედ განზრახვიდან გამომდინარეობს საკითხის მართებული გადაწყვეტა და არა ფაქტობრივი დამდგარი ზიანის მიხედვით.

---

<sup>40</sup>Судебная практика Верховного суда СССР, 1949, 2, გვ.20-21

## თავი IV.

# სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობასაკვებისმოპარვისათვის და დეკრიმინალიზაციის საკითხები

### 1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობასაკვებისმოპარვისათვის

დანაშაულის, როგორც „სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის“<sup>41</sup> გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს საზოგადოების სოციალური მდგომარეობა. საინტერესოა კანონმდებლის პოზიცია საკვების მოპარვასთან მიმართებაში, რადგან საკვები წარმოადგენს ადამიანის არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტს. მსგავსი კაზუსი შეიძლება ორი მიმართულებით განვიხილოთ: ერთ შემთხვევაში ჩავთვალოთ, რომ სახეზე გვაქვს მართლწინააღმდეგობისგამომრიცხველი გარემოება, როგორც უკიდურესი აუცილებლობა ან შეხება გვაქვს ქმედების შემადგენლობისგამომრიცხავ გარემოებასთან ქმედების მცირემნიშვნელობის გამო.

განვიხილოთ რამდენად შეესაბამება საკვების მოპარვა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. სსკ-ის 30-ე მუხლის მიხედვით, მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. უკიდურესი აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ მხოლოდ აუცილებელი მოგერიების არსებობისას, აუცილებელი მოგერიების დროს ძირითადად არ ხდება სამართლებრივ სიკეთეთა თანაზომიერების დადგენა.

<sup>41</sup>წულაია, ზაურ. კრიმინოლოგია ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი. „ინტელექტი“, 2005. გვ. 45

უკიდურესი აუცილებლობის დროს სახეზე გვაქვს სამართლებრივ სიკეთეთა და ინტერესთა ურთიერთშედარება და მისი ნიშნებია: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, ინტერესთა ურთიერთშეჯამება და სუბიექტური ნება.<sup>42</sup> საკვების მოპარვა წარმოადგენს უკიდურესობას იმისათვის, ვინც მოკლებულია საკვებს, ამ შემთხვევაში ორი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენასთან გვაქვს შეხება, ხელყოს სხვისი სამართლებრივი სიკეთე თუ გადაარჩინოს თავისი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, როგორც სამართლებრივი სიკეთე. ამ საკითხს ნათლად წარმოაჩენს შემდეგი მაგალითი: ტურისტულ ჯგუფს ტყეში გზა აებნა, შიმშილისაგან ძალაგამოღეულებმა ნახეს სახლი, რომელშიც საჭმელ-სასმელი იყო, შეამტვრიეს კარი, დანაყრდნენ და თავი გადაირჩინეს.<sup>43</sup> სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, კერძოდ, აგრესიული ანუ თავდასხმითი ფორმის უკიდურესი აუცილებლობა. ეს ნიშნავს, რომ ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან სამოქალაქო წესით ანაზღაურონ მიყენებული ზიანი, მაგრამ ისინი პასუხს არ აგებენ სისხლისსამართლებრივი წესით ქმედების მართლზომიერების გამო.

უკიდურესი აუცილებლობის გადანყვეტის საკითხი პროკურორს შესაძლებლობას აძლევს არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა ეს საკითხი პროკურორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას. კანონი იმპერატიულად არ განსაზღვრავს მცირე მნიშვნელობის ზიანისას, როდესაც ქმედებას ფორმლურად დანაშაულებრივი ხასიათი აქვს, უპირობოდ უნდა დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა

---

<sup>42</sup>ტურავა, მერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი, „მერიდიანი“, 2013. გვ. 196.

<sup>43</sup>ტურავა, მერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. თბილისი, „მერიდიანი“, 2013. გვ. 198.

## 2. ქმედების მცირემნიშვნელობა და დეკრიმინალიზაციის საკითხები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, ხოლო დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ჩადენილი ქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით. სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად იხვეწება სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაჭრისა და არსებულ გამონწვევებთან გამკლავებისაკენ. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მიმართავენ კრიმინალიზაციასა და დეკრიმინალიზაციას, რომლის გამოყენებაც არსებითად დაკავშირებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებასთან.

კრიმინალიზაცია ნიშნავს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ქმედების დანაშაულად მიჩნევას, ე.ი. ამ ქმედების ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. დეკრიმინალიზაცია კი წარმოადგენს საპირისპირო მოვლენას, კერძოდ, კანონმდებლის მიერ რაიმე ქმედებისთვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.

ქმედების კრიმინალიზაციის საჭიროების საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული საზოგადოების ძირითად ღირებულებებსა და მორალთან. კრიმინალიზაციის საკითხი უნდა იყოს მყარი, არგუმენტირებული და შეესაბამებოდეს ჰუმანურობის პრინციპს. ამერიკელი ფილოსოფოსის *ჯოელ ფაინბერგის* აზრით, ქმედების აკრძალვის გამართლება მხოლოდ მისი ამორალურობის გამო არ იქნება საკმარისი. მათ უნდა უნდა დაამტკიცონ, რომ ქმედებას მოსდევს გარკვეული უარყოფითი შედეგები, რომლებიც აზიანებენ სხვა ადამიანების ცხოვრებას.<sup>44</sup>

საქართველოში ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში (1960 წ.) ცილისწამება და შეურაცხყოფა დანაშაულად ითვლებოდა. ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით,

<sup>44</sup>Feinberg Joel. Harm to Self, Oxford University Press, 1986.გვ. 33.



ისჯებოდა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი. ეს ნიშნავს, რომ პატივისა და ღირსების შემლახველი არასწორი ცნობების გავრცელება ყოველთვის არ იწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ ამა თუ იმ პირის ქმედება ცილისწამებად დაკვალიფიცირებულიყო, აუცილებელი იყო შემდეგი გარემოებათა არსებობა: გავრცელებული ცნობა უნდა ყოფილიყო მცდარი და იმავდროულად, მას ზიანი უნდა მიეყენებინა დაზარალებულის პატივისა და ღირსებისათვის.

ცილისწამებაზე საქმის აღძვრის უფლებამოსილება არც მოკვლევის ორგანოს, არც გამომძიებელს და არც პროკურორს არ გააჩნდა. ცილისწამებაზე საქმის აღძვრა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე შეიძლებოდა, რაც ნიშნავს, რომ ცილისწამებაზე მხოლოდ კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება იყო შესაძლებელი. დაზარალებულს, რომელსაც სურდა, რომ ცილისწამებლური ცნობების გამავრცელებელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკისრებოდა, შეეძლო სარჩელით მიემართა რაიონულ სასამართლოსთვის და მოეთხოვა პირის დასჯა.<sup>45</sup>

2004 წლის 24 ივნისის კანონის მიხედვით, ცილისწამება დანაშაული აღარ არის. ამრიგად, მოხდა ქმედების დეკრიმინალიზაცია, რაც ნიშნავს, რომ გაქმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებასთან დაკავშირებით. ამის აუცილებლობა გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ ცილისწამება თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივად დასჯას. იგი მცირე მნიშვნელობის დანაშაულს უფრო წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებისთვის დიდ საშიშროებას არ ქმნის. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცილისწამების ფაქტის მტკიცება ცალკეულ

---

<sup>45</sup>ადგიშვილი, ზურაბ. მედია და კანონი. თბილისი. თავისუფლების ინსტიტუტის გამოცემა, 2004.გვ.52.

სირთულეებთან იყო დაკავშირებული, საბოლოო სახით გადატვირთულ სასამართლო სისტემას და რესურსის ფუჭად კარგვას მივიღებდით. ამჟამად ცილისწამების საკითხები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონითა არის მოწესრიგებული.

შესაძლებელია სისხლის სამართალში გამოყენებულ იქნეს დეპენალიზაცია ან პირიქით პენალიზაცია. დეპენალიზაცია ნიშნავს სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრული ერთი დანაშაულის სხვა დანაშაულთან გაერთიანებას. ამის მკაფიო მაგალითია, 2004 წლის 11 ნოემბრის კანონით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 182<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც კრძალავდა, შავი და ფერადი ლითონის ან მათი შემცველი ნაკეთობების დაუფლებას მართლსაწინააღმდეგომისაკუთრების მიზნით. აღნიშნული მუხლის ამოღება არ ნიშნავს დეკრიმინალიზაციას, არამედ მოხდა სპეციალური შემადგენლობის ამოღება ანუ დეპენალიზაცია. აღნიშნული ქმედება, რაც მოიცავდა კონკრეტულად შავი და ფერადი ლითონების ან მათი შემცველი ნაკეთობების დაუფლებას, დაკვალიფიცირდება, როგორც ქურდობა სსკ-ის 177-ე მუხლის ან როგორც ძარცვა სსკ-ის 178-ე მუხლის მიხედვით.

პენალიზაცია კი არის სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრული სასჯელის ზომის გამკაცრება, მაგალითად, 5 წლიანი სასჯელის 7 წლამდე გაზრდა ან ჯარიმის სანაცვლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანესება.<sup>46</sup>

---

<sup>46</sup>საქართველოს სასამართლოების ლექსიკონი - პენალიზაცია. [http://www.court.ge/geo\\_dictionary](http://www.court.ge/geo_dictionary)

## თავი V.

### ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები

#### 1. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებას სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე

2009

წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახალისი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც უარი თქვა სისხლის სამართლებრივი დევნის ტიპებზე და გაზარდა პროკურორის თავისუფლება, რაც გამოიხატა დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებაში. დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე პროკურორი წყვეტს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ან უკვე მიმდინარე პროცესის შეჩერებას, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით. დისკრეცია პროკურორის უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება. უფლების გამოყენება უნდა მოხდეს საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, სახელმწიფო რესურსების გონივრული ხარჯვისა და მართლმსაჯულების ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე.

კლავს როქსინის აზრით, კანონიერების პრინციპმა თავდაპირველი თეორიული ბაზისი გენერალური და სპეციალური პრევენციის კანონმდებლობაში შემოღების შემდეგ მთლიანად დაკარგა. დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ კანონმდებელმა თავად განსაზღვროს დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობის პირობები და ასეთი გადაწყვეტილების

მიღების უფლება.<sup>47</sup> ამერიკელი იურისტები კრიტიკულად უყურებენ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას. მათი აზრით, ფაქტობრივად შეუზღუდავი დისკრეცია საფრთხის შემცველია და საქმის სუბიექტურად გადანყვეტის რისკებს წარმოშობს.<sup>48</sup>

პროკურორი, როგორც ბრალმდებელი, მთავარი ფიგურაა სისხლის სამართლის პროცესში. იგი, გამოძიების ეტაპზე, აძლევს მითითებებს გამომძიებელს და კანონით განსაზღვრული შემთხვევების არსებობისას, უფლება აქვს უშუალოდ აწარმოოს გამოძიება. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილი იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. პროკურორი მტკიცებულებებზე დაყრდნობით აფასებს არსებობს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ანუ პიროვნების დასჯის საფუძველი ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის საჯარო ინტერესი.

ბრალდების მხარე მტკიცებულების შეფასების შემდეგ, გადანყვეტილებას იღებს „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტის გათვალისწინებით, რომლის დეფინიციაც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილში: იგი წარმოადგენს, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. მისი გამოყენება ხდება ისეთი საპროცესო საკითხების გადანყვეტისას: ჩაიდინა თუ არა პირმა

<sup>47</sup>Klaus Roxin. Strefprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998. გვ. 17;

<sup>48</sup>Gerard Lynch. American law and lawyer information. T. 3. Chicago: American Bar Association. 1998. გვ.10.

დანაშაული, აუცილებელია თუ არა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

საფუძვლიანი ეჭვი ან დასაბუთებული ვარაუდი, ჩვეულებრივი ეჭვისაგან ან ჩვეულებრივი ვარაუდისგან, სწორედ იმით განსხვავდება, რომ იგი საფუძვლიანი ან დასაბუთებული უნდა იყოს. საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა მოითხოვს გარკვეული ფაქტებისა ან ინფორმაციის არსებობას, რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირის დაკავების კანონიერების შემონიშნისას და აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენებისას, მიუთითებენ, რომ არსებობს „დასაბუთებული ვარაუდი“, თუმცა არ არის კონკრეტული ფაქტები და ინფორმაცია მითითებული, რომელიც უნდა ადასტურებდეს ამგვარი ვარაუდის არსებობას<sup>49</sup>.

დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე საპროცესო კოდექსის მიხედვით პროკურორს შეუძლია უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე თუ არსებობს ამის კანონიერი საფუძველი.

### 1.1. ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი

პროცესუალურად ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა, როგორც აღვნიშნეთ, პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზეა დამოკიდებული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში მოცემულია გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან

---

<sup>49</sup>ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბილისი. „მერიდიანი“, 2014. გვ. 144.

შენწყვეტის საფუძვლები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამოძიებუნდაშენწყდეს,

ხოლოსისხლისსამართლებრივიდეგნაარუნდადაიწყოსანუნდაშენწყდეს:

თუარარსებობსსისხლისსამართლისკანონითგათვალისწინებულიქმედება („ა” ქვეპუნქტი); თუქმედებაარარისმართლსაწინააღმდეგო („ბ” ქვეპუნქტი). თუ პროკურორის მიიჩნევს „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ჩაითვლება, რომ მცირე მნიშვნელობის გამო სახეზე არ გვაქვს დანაშაულის ნიშნები. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ყველა ნიშანი სახეზე გვაქვს, მაგალითად, ქურდობის დროს, რასაც არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი, მაინც ქურდობაა,ესეიგისხვისიმოძრავინივთისფარულიდაუფლებამართლსაწინააღმდეგომისაკუთრებისმიზნით, ყველა ეს ქმედების შემადგენლობის ნიშანი სახეზე გვაქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პროკურორი დასაბუთებდად აირჩევს „ა” ქვეპუნქტის შინაარსს, გამოდის, რომ იგი უგულებელყოფს ქმედების არსებობას.

სსსკ-ის 105-ე მუხლის „ბ” ქვეპუნქტის გამოყენებისას, მიუხედავად ჩადენილი ქმედებისა, სახეზე არ უნდა გვექონდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მართლსაწინააღმდეგობაარისპირისმიერჩადენილიქმედებისწინააღმდეგობა,

ზოგადად,კულტურისნორმებისმიმართდაარამხოლოდვინროდგაგებულისისხლისსამართლებრივიმართლსაწინააღმდეგობა. ქმედების მართლსაწინააღმდეგობა აუცილებლად ობიექტურად უნდა არსებობდეს. თუ პირი მხოლოდ მის წარმოდგენაში ფიქრობს, რომ ის მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, სინამდვილეში კი, მისი ქმედება რეალურად ასეთს არ წარმოადგენს, ჩადის მხოლოდ მოჩვენებით დანაშაულს, რისთვისაც

საერთოდ არ დაისჯება<sup>50</sup>. ზემოხსენებული საკითხებზემსჯელობისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს უმთავრესი საკითხი - საჯარო ინტერესის სტანდარტი.

## 1.2. საჯარო ინტერესის სტანდარტი

საჯარო ინტერესის შეფასების სტანდარტი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“. ბრძანების თანახმად, პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს შინაგანი რწმენით. კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მან მხედველობაში უნდა მიიღოს სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტი, დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი, კრიმინალური წარსული, გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, მისი პიროვნული მახასიათებლები და მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი.

რადგანაც სახელმწიფო რესურსი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ყველა დანაშაულებრივი ქმედების მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორმა უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები. მან მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის შედეგად მოქალაქისადმი ან საჯარო ქონებისადმი მიყენებული ზიანი, წესრიგის დარღვევის ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. პროკურორი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, რომლის განსაზღვრისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, რომლის აუცილებლობაც ვლინდება მცირე მნიშვნელობის ზიანისას. პროკურორმა

---

<sup>50</sup>ტურავა, მერაბ. სისხლისსამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა მეცხრე გამოცემა. (თბილისი: მერიდიანი, 2013). გვ. 165.

უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, აუცილებლობას წარმოადგენს თუ არა საპროცესო ხარჯების გაღება, მატერიალური და არამატერიალური რესურსის გამოყენება და სასამართლოს გადატვირთვა, იმ შემთხვევაში თუ პირის დასჯა არ წარმოადგებს მალალსაზოგადოებრივ ინტერესს და არაპრიორიტეტულია სახელმწიფოსათვის კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა.

პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქ დანაშაულთან გვაქვს საქმე. მან უნდა შეაფასოს, თუ რამდენად შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის გარეშე სასჯელის მიზნების მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია დანაშაულის თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეფასების საკითხი. აქ ბრალის ხარისხისა და მოტივის გათვალისწინების საფუძველზე, პროკურორს შეუძლია უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუ თანამონაწილის როლი დანაშაულის ჩადენაში შედარებით მეორეხარისხოვანია. პროკურორი მხედველობაში იღებს პირის დანაშაულებრივ წარსულს ან არსებობს თუ არა ეჭვი, რომ მას წარსულში დანაშაული აქვს ჩადენილი. მნიშვნელოვანია პირის თანამშრომლობის სურვილი და პიროვნული მახასიათებლები, რამდენად თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, ეხმარება გამოძიებას. მნიშვნელოვანი გარემოებაა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურების სურვილი დამნაშავის მხრიდან.

ზემოთ ხსენებული საკითხების ეტპობრივი შეფასების შემდეგ პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსალოდნელ შედეგებზე. საჯარო ინტერესის შეფასების კრიტერიუმები არ არის ამომწურავად მოცემული, რაც ნიშნავს, რომ პროკურორი უფლებამოსილია სხვა გარემოებებიც მიიღოს მხედველობაში, რომლებიც არ არის ბრძანებით განსაზღვრული.



## თავი VI. ქმედების მცირე მნიშვნელობის პრობლემათი კაქართულ სასამართლო ლოპრაქტიკაში

თემის პრობლემურობის კვლევისას მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა და ანალიზი, სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებებში ჩანს პრობლემური საკითხების მიმართ არსებული მიდგომები და მათი გადაჭრის გზები. განვიხილოთ რამდენიმე გადაწყვეტილება, სადაც სახეზეა მცირე მნიშვნელობის ზიანი.

მთვრალ მდგომარეობაში მყოფი დ. ბ. მივიდა დაბა თიანეთში მდებარე მაღაზიაში და გამყიდველს მოსთხოვა უფასოდ ლუდის მიცემა, რაზედაც გამყიდველმა უარი განუცხადა. უარის მიღების შემდეგ ბრალდებული დაემუქრა გამყიდველს, გატეხა ვიტრინის მინა, თვითნებურად გახსნა დახლ-მაცხერის კარი და ამ უკანასკნელის ნების

საწინააღმდეგოდ, მის თვალწინს აიღო 2 ლარად და 30 თეთრად ღირებული ერთი ბოთლი ლუდი “ყაზბეგი” და მიიმალა.

თიანეთის რაიონული სასამართლოს 2005წ. 4 თებერვლის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, დ. ბ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2005წ. 13 ივნისის განაჩენით გაუქმდა თიანეთის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ბრალდებულის მიმართ და დ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

ბრალდებულის ადვოკატმა ითხოვა განაჩენის გაუქმება ბრალდებულის მიმართ და სისხლის სამართლის საქმის შეყვეტა. საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო პალატას, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან, დანაშაულის სიმძიმიდან და თვით დანაშაულის ჩამდენის პიროვნებიდან გამომდინარე, სწორად მოხდა ბრალდებულის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება დაეთუქნა ბრალდებულის წარსულ ცხოვრებას, მის მიდრეკილებას დანაშაულის ჩადენისაკენ. ბრალდებული პირველად 20 წლის ასაკში გასამართლდა ქურდობისთვის და სასამართლომ როგორც პირველად ნასამართლევს, სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შეუცვალა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით. მიუხედავად ამისა, მსჯავრდებულმა მიატოვა სასჯელის მოხდის ადგილი და მიიმალა. ამის შემდეგ, დანის გამოყენებით გაძარცვა მოქალაქე. ბრალდებული განთავისუფლების შემდეგაც არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული. ამის შემდეგ მან მეოთხედ ჩაიდინა დანაშაული, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების მეორე დღეს

დათვრა და ჩაიდინა ძარცვა, კერძოდ გინებითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯიხურში გამყიდველს მოსთხოვა, უფასოდ მიეცა ლუდი.

სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებულს მიადგა მცირე მნიშვნელობის მატერიალური ზიანი (2 ლარი და 30 თეთრი), ბრალდებულს უცვლელად დაუტოვა შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის განსაზღვრას საფუძვლად დაედო პირის წარსული ცხოვრება და ქმედების განხორციელების სახე.<sup>51</sup>

2015 წლის 22 სექტემბერს, მსჯავრდებულმა, უკანონოდ შეაღწია მაღაზიაში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 15 ლარად ღირებულ ერთ ბოთლ არაყს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 ნოემბრის განაჩენით ბრალდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აგვისტოს განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის განაჩენი გაუქმდა და ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული გადაწყვეტილება, მსჯავრდებულმა გაასაჩივრა და ითხოვა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის, როგორც უსაფუძვლოსა და დაუსაბუთებლის, გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მხოლოდ 15 ლარის ზიანზე აპელირებით არ გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის

---

<sup>51</sup>უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმის N: 2კ-339აპ.-05, 11/10/2005

მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან, როდესაც თავად ქმედების ხასიათი და მისი ჩადენის ხერხი არ წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასა და კოლეგების აზრს არ დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე დამან განმარტა, რომ ქმედების დანაშაულად ცნობისთვის, საკმარისი არ არის მხოლოდ მისი მსგავსება დანაშაულთან, რადგან ქმედება შეიძლება იმდენად მცირე მნიშვნელობის იყოს, რომ მისი ჩამდენისთვის საჭირო არ გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ემთხვევა რომელიმე კონკრეტული დანაშაულის განმსაზღვრელი ქმედების შემადგენლობას, გადაიქცევა წმინდა ფორმლობად, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ვერ გამოდგება.

კანონმდებელი არ იძლევა მცირე მნიშვნელოვნების შეფასების კრიტერიუმებს. ამდენად, მუხლის მიზნებისთვის, მცირე მნიშვნელობის ზიანის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით; ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირემნიშვნელობა, აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად - ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

დანაშაულის მოტივსა და მიზანთან დაკავშირებით მოსამართლემ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის ცხოვრების პირადი, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა განაპირობებდა მისი ქცევის მოტივსა და მიზანს. მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა, ცხოვრობდა ქუჩაში და სისტემატურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ მისი ქმედება იმდენად მცირე საშიშროების შემცველია, რომ მისი ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი რეპრესიის განხორციელება გაუმართლებელია. ქმედების საშიშროებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მისი ჩამდენი პირის სოციალური საშიშროების ზომას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის ქმედება, მის მიერ დანაშაულის ჩადენის პირველი შემთხვევაა, რასაც ადასტურებს ცნობა ნასამართლობის შესახებ.<sup>52</sup>

მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოკიდებულება ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისას, როდესაც ზიანი მცირემნიშვნელოვანია. 2015 წლის 2 მაისს, მაღაზიიდან ბრალდებული და მისი მეგობარი, რომელიც წარსულში ქურდობისათვის იყო ნასამართლევ, ფარულად დაეუფლნენ 19 ლარად ღირებულ ყავას. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განაჩენით გ. ბ-ე და მ. ბ-ე, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და გამართლებულების დამნაშავედ ცნობა, შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მიიჩნია მათ მიერ ჩადენილი ქმედება მცირე მნიშვნელობის მქონედ და მისი მსჯელობა, რომ გ. ბ. და მ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, წარმოადგენს ბრალის გამომრიცხავ გარემოებას, არ შეესაბამება მითითებული მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა წარსულში ნასამართლევ პირების - მ. და გ. ბ-ს მიერ დამამძიმებელ გარემოებებში - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას - ჩადენილი ქმედება, რის გამოც იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მცირე მნიშვნელობის მქონედ.

---

<sup>52</sup>საქართველოსუზენაესისასამართლოგანჩინება. Nგ154აპ-18 01.08.2018 წ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი გ. ბ-სა და მ. ბ-ს მიმართ: გ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტები გ. ბ-სა და მ. ბ-ს ბრალეულობის თაობაზე და დამატებით მიუთითა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მარტოოდენ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე: მ. ბ-მ და გ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად, დღისით და ხალხმრავალ ადგილას - მაღაზიაში; ამასთან, ორივე მათგანი არის წარსულში ნასამართლევნი, კერძოდ, გ. ბ. წარსულში ცნობილ იქნა დამნაშავედ ქურდობისათვის და ხოლო მ. ბ. წარსულში ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება).

საკასაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დამნაშავეთა მიმართ წარსულში უკვე გაავრცელა საშელავათო ღონისძიებები და ორივე მათგანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეუცვალა პირობითი მსჯავრით, ისინი არ დაადგნენ გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს

განზრახი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ გ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, ხოლო მ. ბ-ს დაკისრებული ჯარიმა კვლავ არ ჰქონდა გადახდილი და ერიცხებოდა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ისინი ფარულად დაეუფლნენ ერთ ქილა ყავას, რომელიც, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ადამიანის სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ პროდუქტად, რის შესახებაც თვით მსჯავრდებულნიც არ აპელირებდნენ. აღნიშნული დამატებით ხაზს უსვამს მათი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე.

ხსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მსჯავრდებულებმა ვერ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები და არ განიმსჭვალნენ კანონის მიმართ სათანადო პასუხისმგებლობითა და პატივისცემით, რის გამოც მათ მიერ ჩადენილი ქმედება ვერ ჩაითვლება მცირე მნიშვნელობის მქონედ მხოლოდ იმიტომ, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი შეადგენს 19 ლარს.<sup>53</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით გ. გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. გ. გ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გაუქმდა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი გ. გ. საქალაქო ავტობუსში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა დაზარალებულის ხელჩანთიდან 25 ლარად ღირებულ საფულეს, რომელშიც მოთავსებული იყო თანხა 10 ლარი. გ. გ-ს დანაშაულებრივი ქმედებით

---

<sup>53</sup>საქართველოსუზენაესისასამართლოსსისხლისსამართლისსაქმეთაპალატის გადაწყვეტილება N: 2კ-556აპ.-1607/03/2017

დაზარალებულს მიადგა 35 ლარის ქონებრივი ზიანი. ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ მიყენებული ზიანი იყო მცირე მნიშვნელობის და საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გ. გ. ცნო უდანაშაულოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 31 იანვრის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი. გ. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოსაზრება, რომ ზიანი უნდა განისაზღვროს დაზარალებულის შეფასებაზე დაყრდნობით, თუმცა განმარტა, რომ შესაძლებელია, უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი ერთ ლარს არ აჭარბებდეს, მაგრამ იგი მაინც არ ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის ზიანად. ამ თვალსაზრისით, ყურადღება სწორედ ქმედების ხასიათსა და მასში გამოხატულ მართლსაწინააღმდეგო ნებას უნდა მიექცეს და არა მხოლოდ ზიანის მათემატიკურ გამოსახულებას. ბუნებრივია, კანონმდებელი ქმედების დანაშაულად აღიარებისას ითვალისწინებს საშიშროებას, რაც მოითხოვს მასთან ბრძოლას სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით. შესაძლებელია, ქმედების საშიშროების ხარისხი ზოგ შემთხვევაში არ აღწევდეს იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ქმედების საშიშროების დადგენისათვის კი მხედველობაშია მისაღები ხელყოფის ობიექტის ღირებულება, ხელყოფის ინტენსივობა, მისი განხორციელების სტადია, პირის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულში, ზიანის მოცულობა, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და სხვა.

პალატამ გაითვალისწინა, რომ ქმედება ჩადენილია საზოგადოებრივ ტრანსპორტში. გასათვალისწინებელია, რომ გ. გ-ს განზრახვა არ იყო მხოლოდ 10 ლარის დაუფლება, მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ რა თანხა ედო დაზარალებულს



საფულეში და იყო თუ არა მნიშვნელოვანი ეს თანხა მისთვის. გ. გ-ს ამოძრავებდა სხვისი ნივთის (თანხის) და არა კონკრეტულად რაღაც ოდენობით თანხის დაუფლების განზრახვა.

შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 10 ლარის ოდენობით ზიანზე აპელირებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის შინაარსიდან, ვინაიდან თავად ქმედება, მასში გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნების, ქმედების ხასიათის, ხერხის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონეს. აუცილებლად უნდა დადგინდეს, რომ დამნაშავე პირის განზრახვა მიმართული იყო ისეთი მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედების ჩადენისკენ, რომელიც უმნიშვნელო ზიანს აყენებს ან ასეთი ზიანის საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ სიკეთეს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არ შეიძლება ქმედების მცირე მნიშვნელოვნად შეფასებისას მხედველობაში იქნეს მიღებული მხოლოდ ფარულად დაუფლებული თანხის ოდენობა, როცა გამოკვეთილია საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხელჩანთიდან საფულის ფარულად დაუფლების ფაქტი, ვინაიდან თუ აქცენტი გაკეთდება მხოლოდ დაუფლებული თანხის ოდენობაზე, ეს ზოგადად გამორიცხავს ასეთი ქმედების, როგორც ქურდობად დაკვალიფიცირებას.

გ. გ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (მას ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ავადმყოფი დედა, ინვალიდი ძმა), სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მას უნდა შეფარდებოდა სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.<sup>54</sup>

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის განაჩენით ზ. ბ. საქართველოს მოქალაქე, ცოლშვილიანი, უმუშევარი, ნასამართლობა გაქარწყლებული, ცნობილ

<sup>54</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. N: 2კ-164აპ.-1717/07/2017

იქნა დამნაშავედ და მსჯავრი დაედო ქურდობისათვის და ასევე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

2007 წლის 16 აპრილს ზ. ხ. შვეიდა აფთიაქში და განიზრახა ფარულად დაუფლებოდა იქვე, დახლზე დადებულ აფთიაქის დირექტორის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ზ. ხ-მ ისარგებლა იმით, რომ დირექტორი ზურგით იდგა და მისთვის წამალს ეძებდა, ფარულად აიღო მისი კუთვნილი 35 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აგვისტოს განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა თავისუფლების აღკვეთით. ზ. ხ-ს ადვოკატმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა მისი დაქცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონის შეწყვეტა სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

პალატამშეისწავლასაქმისმასალები,

შეამონმასაკასაციოსაჩივრისსაფუძვლიანობადამიიჩნია,

რომსაკასაციოსაჩივარიუნდადაკმაყოფილდესშემდეგგარემოებათაგამო:საქმეშიწარმო დგენილიადაზარალებულისსანოტარონესითდამონმებულიგანცხადება,

რომელშიციგიაღნიშნავს,

რომმსჯავრდებულმააანაზღაურამიყენებულიმცირემნიშვნელობისზიანი,

ისინიშერიგდნენდამასარგააჩნიაარავითარიპრეტენზიაზ. ხ-სმიმართ. პალატამიიჩნევს,

რომმიუხედავადბრალდებულისწარსულშინასამართლობისა, უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველად ჩაიღინა დანაშაული, ვინაიდან მას აღნიშნული ნასამართლობა

გაქარწყლებული ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა შეხედულებით, ზ. ხ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი აღიარებს დანაშაულს, კმაყოფაზე ჰყავს 3 შვილი, აქედან 2 მცირეწლოვანი, უმუშევარი მეუღლე, პენსიონერი, ავადმყოფი დედა, მიიჩნევს, რომ მას სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეცვალოს ჯარიმით. ზ. ხ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით. იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან.<sup>55</sup>

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2004წ. 3 სექტემბრის განაჩენით ლ. შ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 1 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

განაჩენით ლ. შ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2004წ. 14 ივნისს ლ. შ-მ გამოსაცდელი ვადის პერიოდში კვლავ განიზრახა ახალი დანაშაულის ჩადენა და ნებისმიერი მოქალაქის პირადი ქონების ფარული დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი იმავე დღეს, სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთ გაჩერებაზე, მივიდა ე. კ-თან, რომელსაც სამარშრუტო ტაქსში ასვლისას ფარულად გასტაცა 15 ლარად ღირებული ხელჩანთა, რომელშიც იდო 7 ლარი, ე. კ-სა და მისი მეუღლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, 15 ლარად ღირებული მობილური ტელეფონის დამტენი აპარატი და პარფიუმერია, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მაგრამ იგი დააკავეს იმავე დღეს. პირადი

<sup>55</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება. N:2კ-1655აპ.-0722/07/2008.

ჩხრეკისას მისგან ამოიღეს გატაცებული ხელჩანთა და სხვა ნივთები, რაც დაუბრუნდა დაზარალებულს.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, საკასაციოს აჩივრითი თხოვს, რომ მსჯავრდებულს ეპატიოს ჩადენილი დანაშაული დამის მიმართ შეწყდეს საქმე მცირე მნიშვნელობის გამო. პალატის სხდომაზე დაზარალებულმა განაცხადა, რომ მსჯავრდებულს მისთვის არ მიუყენებია მნიშვნელოვანი ზარალი დამის მიმართ პრეტენზიას არ გააჩნია. მსჯავრდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და ითხოვა საქმის შეწყვეტა.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და ჩათვალა, სისხლის სამართლის საქმე უნდა

შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და ითხოვა საქმის შეწყვეტა.

პალატის სხდომაზე განმარტა, რომ დაზარალებულს ხელჩანთა მოპარას ადასტოვებდა, სადაც ის კამბეუპატრონო ღილიდა. მისი განმარტებით, იგი აცნობიერებდა, რომ, თუ ჩანთაში იდგინებდა ნივთებს, მესაკუთრე არ დატოვებდა მას კამბე. ამგან რახვით მან ჩადენილი დანაშაული დასაბუთებდა და მცირე თანხის ქურდობის მიზნით მოპარა ხელჩანთა, რომელიც მოთხოვნის თანავე წარუდგინა სადასტოვებელი იმის უპოვო იცის მუშაკებს. იგი ითხოვს ეპატიოს დასაქმების შეწყვეტას მცირე მნიშვნელობის გამო.

პალატის სხდომაზე დაზარალებულმა განაცხადა,

რომ მას დაუბრუნდა გატაცებული ნივთები,

7

ლარისთვის არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ზარალს,

იგი უერიგდასჯავრებულს დამის მიმართ პრეტენზიას არ გააჩნია.

მანი თხოვა,

რომ მსჯავრდებულს ეპატიოს ჩადენილი დანაშაული საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციოს აჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად,

პალატა ჩათვალა,

რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს დამსჯავრდებულის

მიმართუნიყდეს სისხლის სამართლის საქმე მცირე მნიშვნელობის გამო, ვინაიდან არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება.<sup>56</sup>

## თავი VII. ქმედების მცირე მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

### 1. უცხოური

#### კანონმდებლობის მიმოხილვა მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით

მცირე მნიშვნელობის ქმედების დასჯადობის საკითხის ვხვდების სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში, ძირითადად მათი შინაარსი ერთნაირია და მცირე მნიშვნელობის ქმედება არ ითვლება დანაშაულად.

*რუსეთის* სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „დანაშაულს არ წარმოადგენს ქმედება (უმოქმედობა), რომელიც ფორმალურად შეიცავს, კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ნიშანს, მაგრამ მისი მცირე მნიშვნელობის გამო, საზოგადოებრივ საფრთხეს არ წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილება კოდექსში შევიდა 1998 წლის 25 ივნისს, ამ დრომდე მსგავსი შინაარსის ჩანაწერი არ არსებობდა.

*სომხეთის* რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დანაშაულს არ წარმოადგენს ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად შეიცავს, კოდექსით გათვალისწინებულ ნებისმიერი ქმედების ნიშნებს, მაგრამ თავისი მცირე მნიშვნელობის გამო არ

<sup>56</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. N: 2კ-425აპ.-04.08/02/2005

წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისთვის, ანუ არ შეეძლო გამოეწვია ზიანი ფიზიკური, იურიდიული პირისათვის, საზოგადოებისთვის ან სახელმწიფოსათვის.

*აზერბაიჯანის* რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) არის წარმოადგენს დანაშაულს, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს, მაგრამ მისი მცირემნიშვნელობის გამო, არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საფრთხეს, ანუ ის არ ქმნის საფრთხეს, არ აყენებს ზიანს ინდივიდს, საზოგადოებას ან სახელმწიფოს.

*უკრაინის* სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი სიტყვა სიტყვით იმეორებს აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ ჩანაწერს, მცირე მნიშვნელობასთან მიმართებაში.

*დიდი ბრიტანეთის* კანონმდებლობაში მცირე მნიშვნელობის საკითხის გადანყვეტა მთლიანად სასამართლო პროცესზე დამოკიდებული და მოსამართლე აფასებს, დასჯადობის საკითხს, ნორმატიული ჩანაწერი მცირემნიშვნელობასთან მიმართებაში არ არსებობს. ამის ერთ-ერთი გარემოება ის არის, რომ დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულს წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც დასჯადია კანონით ქმედების ჩადების დროს.<sup>57</sup>

*ამერიკის შეერთებული შტატების* სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და ურიდიულ დოქტრინაში, არ გვხვდება მცირე მნიშვნელობის განმარტება.

---

<sup>57</sup>Игнатов а.н. красиков ю.а. уголовное право,გამომცემლობა, „НОРМА“, ტომი I, 2000. გვ. 338.

## 2. სხვადასხვაქვეყნებისსასამართლოპრაქტიკაქმედებისმცირემნიშვნელობასთანდაკავშირებით

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში არსებობს *მოსკინის* ცნობილი საქმე, რომელიც თვით *სტალინის* მმართველობის დროს მოხდა. მოქალაქე მოსკინი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმის გამო, რომ მან 1951 წლის 10 მარტს კოლმეურნეობის ყანიდან გაიტაცა 20 კილოგრამი მარცვლეულის ნარჩენი. მისი დაკავება მოხდა დანაშაულის ადგილზე. ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩადენისათვის მას ჯარიმის სახით დაეკისრა 200 რუბლის გადახდა. ამის შემდეგ საქმე ხელახლა გადაიხედა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1952 წლის 14 მაისის განჩინებაში, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შენიშვნის საფუძველზე, *მოსკინის* საქმის წარმოება შეწყვიტა. განჩინებაში მითითებულია, რომ მოქმედება, რომელიც ბრალად ედება *მოსკინს*, თუმცა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ აშკარა მცირე მნიშვნელობისა და მავნე შედეგის არარსებობის გამო, მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს<sup>58</sup>.

იტალიის უზენაესმა სასამართლომ გაამართლა უკრაინელი უსახლკარო, 31 წლის *რომან ოსტრიაკოვი*, რომელმაც სუპერმარკეტიდან 4.07 ევროს ღირებულების ყველი და ძეხვი მოიპარა. *ოსტრიაკოვი* დააკავეს მაშინ, როდესაც მალაზიის დატოვებას ცდილობდა. დადგინდა, რომ მას მხოლოდ პურისთვის საკმარისი ფული ჰქონდა. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის მიესაჯა ექვსი თვე თავისუფლების აღკვეთა და 100 ევრო ჯარიმის სახით. აღნიშნული სასჯელი *ოსტრიაკოვმა* გაასაჩივრა. 2015 წლის 2 მაისს იტალიის საკასაციო უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ოსტრიაკოვის მიმართ გამოყენებული მსჯავრდება. სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ

<sup>58</sup>Судебная практика Верховного суда СССР, 1953, 3. გვ. 5-6.

იტალიის კანონით სასიცოცხლოდ საჭირო საკვების მოპარვა დანაშაული არ არის. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის მდგომარეობა და გარემოებები და მიიჩნია, რომ *ოსტრიაკოვმა* მოიპარა მცირე რაოდენობის საკვები, რომელიც მისთვის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა.<sup>59</sup>

2015 წლის 6 აგვისტოს გაერთიანებული სამეფოს, ჰელსოვენის მაგისტრატთა სასამართლომ (Halesowen magistrates court) დამნაშავედ ცნო *ლუიზა სეველი*, რომელმაც მაღაზიიდან „მარსის“ შოკოლადი მოიპარა, რომლის ღირებულებაც 75 პენსს შეადგენდა. სასამართლომ *სეველმა* განმარტა, რომ ოთხი დღის განმავლობაში საჭმელი არ უჭამია და გადანყვითა მოეპარა ყველაზე იათუფასიანი საკვები, რაც მაღაზიაში დაინახა. სისხლის სამართლის სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: ჯარიმის სახით სეველს დაეკისრა 150 ფუნტის გადახდა, ასევე 73 ფუნტი და 85 ფუნტი პროკურატურის ხარჯებისათვის, 20 ფუნტი დაზარალებულისთვის და „მარსის“ ღირებულება 75 პენსი. ჯარიმის საერთო ღირებულებამ 328.75 ფუნტს შეადგინა.<sup>60</sup>

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებაში, მიუხედავად კანონმდებლის იმპერატიული დათქმისა, შესაძლებელია ფორმალურად დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედება შეფასდეს არა მხოლოდ კანონის ნორმებით, არამედ ინდივიდის აუცილებელი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

---

<sup>59</sup>იტალიის საკასაციო, უზენაესი სასამართლოს, განაჩენი N 18 248, მეხუთე კრიმინალური სექცია, 02/05/2016.

<sup>60</sup>, Ruth, Patrick. Is it really criminal to steal food when you're destitute? <https://theconversation.com/is-it-really-criminal-to-steal-food-when-youre-destitute-59190> 2016. 15/06/2019.



## დასკვნა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა ქმედების მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამასთან, განსაზღვრა ახლებური ხედვა და გადაწყვეტის გზები არსებულ მიგნებებთან მიმართებით.

სისხლის სამართალი არ არის ჩაკეტილი მეცნიერების დარგი და ამიტომ იგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს და იხვეწება. ქმედების მცირე მნიშვნელობის პირდაპირი და მკაფიო დეფინიცია კი ამ დრომდე არ არის მოცემული სისხლის სამართლის კოდექსში. ქართული დეფინიციავერ უზრუნველყოფს მკაფიო ზღვარის გავლებას დანაშაულსა და არადანაშაულებრივ ქმედებას შორის, რის გამოც საჭიროა მისი დახვეწა ტერმინოლოგიური, შინაარსობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

ჩემი შეხედულებით, აუცილებელია მატერიალურ სისხლის სამართალში ჩამოყალიბდეს ქმედების მცირე მნიშვნელობის შესაფასებლად საჭირო კრიტერიუმები. დღეისათვის აღნიშნული საკითხი რეგულირდება პროცესუალურისამართლით, რაც არამართებულად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმებით ხდება საქმის გამოძიება და კონკრეტული ინდივიდუალური მახასიათებლების დადგენა, ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხის გადანყვეტა მხოლოდ პროკურორის ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული - შეწყვიტოს თუ არ შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადანყვეტისა და საქმის სწორად შეფასებისთვის, მას უნდა ჰქონდეს ზუსტი ნორმატიული დათქმა იმის თაობაზე, თუ რით იხელმძღვანელოს საჭირო დროს.

ნაშრომში კრიტიკულადაა გააზრებული ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტი და მიდგომები. ასევე განხილულია არაერთი საქმე, რომელიც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ სხვადასხვანაირად შეაფასა. სასამართლო უფრო ზოგადი სახით იყენებს ქმედების სხვადასხვა ობიექტურ კრიტერიუმს, რადგან არ ახდენს მათ მისადაგებას ინდივიდუალურ გარემოებებთან, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორ კვალიფიკაციამდე მიიყვანდა. ასეთი სასამართლო პრაქტიკა დღემდე არსებობს, როგორც საქართველოში ისე ნაშრომში დასახელებულ ქვეყნებში, რაც არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისხლის სამართლის პრაქტიკის ანალიზის მიხედვით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის დახასიათებისთვის მართლმსაჯულება, ძირითადად, ობიექტურ კრიტერიუმებს ეყრდნობა. ქმედების მცირე მნიშვნელობის ზუსტი კვალიფიკაციისთვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებების გათვალისწინება.

წინამდებარე კვლევის თანახმად, რაც სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სისხლის სამართლის მეცნიერთა მოსაზრებების მიმოხილვას ეფუძნება, ცხადი ხდება, რომ ევროპული და ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, როგორც წესი, ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტს ერთნაირად განმარტავენ.

რაც შეეხება პროკურატურის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ეს საკითხიც ღიად რჩება და დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მცირე მნიშვნელობის დანაშაულების გადაწყვეტის შესაძლებლობა, პირველ რიგში, პროკურორის ხელშია, რომელიც უფლებამოსილია არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეფასების კრიტერიუმები იმდენად ზოგადია, რომ ძირითად შემთხვევებში ქმედების ფორმალური შემადგენლობაც კი საკმარისი იქნება სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. ეს გარემოება კი ნიშნავს, რომ, თუ ბრალმდებელი თავის პოზიციას ბოლომდე დაიცავს, მოსამართლის მიერ სასჯელის ნაწილში, თუნდაც მინიმალური სანქციის დაკისრება, იწვევს ბრალდებულის უფლებების დარღვევას. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, უფლებრივად ის იწვევს ნასამართლობის სტატუსის მინიჭებას ბრალდებულისთვის და შინაარსობრივად ითვლება, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა და არა მცირე მნიშვნელობის ქმედება, რომელიც არ არის საშიში საზოგადოებისთვის.

არ არის მართებული პირის წარსულში ჩადენილ დანაშაულზე აპელირება და დაკავშირება ახალ დანაშაულთან მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს მცირე მნიშვნელობის ქმედების შედეგად მიყენებული უმნიშვნელო ზიანი. ასეთ დროს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების უკომპრომისო გათვალისწინება წარმოშობს სისხლისსამართლებრივი რეპრესიის პოლიტიკას. მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე ქმედება უნდა ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად განზრახ ჩადენილი დამთვრებული ქმედებისას, უნდა შეფასდეს პირის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ.



## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

- 1 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბილისი. „მერიდიანი“, 2016.
- 2 გამყრელიძე, ოთარ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების. თბილისი: შურ. აღმანახი, N 13, „სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები“, 2000.
- 3 გაბიანი, ანზორ, გვენეტაძე ნ. დვალიძე ი. და სხვები. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი „მერიდიანი“, 2007.
- 4 დონჯაშვილი, თამაზ საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი). თბილისი. \_\_\_\_\_ თსუ-ს სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის საბაზო კათედრა. 2007.
- 5 ინკირველი, გივი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბილისი. „მერიდიანი“ 2011.
- 6 კაპანაძე, ნუნუ და მარინა კვაჭაძე. ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. თბილისი „სეზანი“, 2008.
- 7 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან. საზოგადოებრივი საშიშროების პრობლემისათვის, თბილისი, შურნალი „სამართალი“, 1996.
- 8 ნაჭყებია, გურამდატყეშელიაძე გიორგი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2004,
- 9 ნაჭყებია გურამ. \_\_\_\_\_ სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი „ივერიონი“, 2015.
- 10 ნაჭყებია გურამ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2016.
- 11 ტურავა მერაბ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება. თბილისი „მერიდიანი“, 2011).
- 12 ტურავა, მერაბ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013.
- 13 ურიდია, სამსონ. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. თბილისი. გაეროს განვითარების პროგრამა, 2004.
- 14 შარლლუი დემონტესკიე, კანონთაგონი, 1748.

- 15 შავგულიძე, თამაზი და ლამარა სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბილისი, „მეცნიერება“, 1988.
- 16 წულაია, ზურ. კრიმინოლოგია ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი. „ინტელექტი“, 2005.
- 17 Gerard Lynch. American law and lawyer information. T. 3. Chicago: American Bar Association. 1998.
- 18 Kenny, Anthony. Freewill and Responsibility, London, Routledge and Kegan Paul, 1978.
- Naucke, Wolfgang. Strafrecht, მე-10 გამოცემა, 2002.
- 19 Roxin: Claus. „Schuld“ und „Verantwortlichkeit“ als strafrechtliche Systemkategorien, FS für Heinrich Henkel zum 70. Geburtstag, 1974.
- 20 Roxin, Claus. Strafrecht. Allgemeiner Teil. I, 2006.
- 21 Roxin, Claus. Strafprozessrecht. 25. Auflage. München, 1998.
- 22 Walter Keating Kelly, Wolfgang Mieder, A collection of the proverbs of all nations, Publisher University of Vermont, 2002.
- 23 игнатов а.н. красиков ю.а. уголовное право, გამომცემლობა, „НОРМА“, ტომი I, 2000.
- 24 Кудрявцев, Владимир Николаевич. общая теория квалификации преступлений. М. 1999.
- 25 Пионтковский, Андрей Андреевич. Укрепление социалистической законности. Советское государство и право. № 5. 1954.
- 26 Хорнабужели, бежан. Психологическая сторона вины, თბილისი. „განათლება“, 1981.
- 27 Церетели Т. В., и Макашвили В. Г. Состав преступления как основание уголовной ответственности . Советское государство и право. № 5. 1954.
- 28 Судебная практика Верховного суда СССР, 1953, 3.

#### ინტერნეტ რესურსები

- 1 საქართველოს სასამართლოების ლექსიკონი - პენალიზაცია.  
[http://www.court.ge/geo\\_dictionary](http://www.court.ge/geo_dictionary) 20.06.2019
- 2 Ruth Patrick. Is it really criminal to steal food when you're destitute? 02/06/2016.  
<https://theconversation.com/is-it-really-criminal-to-steal-food-when-youre-destitute-59190> 20.06.2019

